პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 18 იანვარი № 15 (17059) ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, მათი ავანგარდი — კომუნისტები, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — *გადააქცევენ 1978 წელს დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწევენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში*

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

17 იანვარს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მინისტრები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა, ს. ე. ხაბეიშვილი.**

კრების დღის წესრიგშია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რესპუბლიკის 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგები და 1978 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა მიღება.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ზ. ა. პატარიძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **რ. მ. გიორგაძე,** თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბ. თ. ლობჟანიძე,** ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. **ვ. ი. ხარებავა,** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. **გ. პ. გამცემლიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ბ. ა. ზაუტაშვილი,** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **გ. დ. ყიფიანი,** თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი ამხ. **გ. ნ. კურტანიძე,** ხობის რაიონის სოფელ ახალხიბულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **შ. ლ. კიმულარია.**

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს საქართველოს სსრ მშრომელთა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

1978 წლის სოციალისტური ვალდებულებები:

საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი“

ვადამდე, 1978 წლის 20 დეკემბრისათვის შეასრულებთ ხუთწლედის სამი წლის გეგმას, წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებთ ათიათასობით ტონა მაღალხარისხოვან ქვანახშირს;

გავასაღებთ ათიათასობით მანეთის ზეგეგმით პროდუქციას;

უზრუნველყოფთ გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა კონცენტრატის გამოშვებას;

გავაუმჯობესებთ ქვანახშირის ხარისხს, დადგენილ ნორმებთან შედარებით 0,1 პროცენტით შევამცირებთ მის ნაცრიანობას;

ნედლეულისა და მასალების ეკონომიის რეჟიმის მკაცრად დაცვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზით მივიღებთ 50 ათასი მანეთის ზეგეგმით მოგებას;

დავზოგავთ მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას;

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით ერთ მუშაკზე გაანგარიშებით ერთი პროცენტის გადაჭარბებით შევასრულებთ მთლიანი პროდუქციის გამომუშავების გეგმას.

უზრუნველყოფთ 17.200 მეტრი მოკლულობის სამთო გვირაბების გაყვანას, რომელშიც მექანიზებული იქნება ქვანახშრისა და ქანის ჩატვირთვა, მათ შორის 2.000 მეტრზე კომბაინებით.

კოლექტივმა იკისრა ავრეთვე მაღაროელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების ვალდებულებანი.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მახარისხებელი სადგური:

ვაგონების გაგზავნის გეგმას შევასრულებთ სულ ცოტა 105 პროცენტით: ხატარნიტო ვაგონების მოცდენას გადამუშავებითურთ ნორმასთან შედარებით შევამცირებთ 0,1 საათით;

ერთ დასატვირთ ოპერაციაზე ვაგონების მოცდენის ნორმას შევამცირებთ 0,2 საათით;

გეგმასთან შედარებით სამი პროცენტით გავზრდით შრომის ნაყოფიერებას; ორი პროცენტით შევამცირებთ ტვირთზიდვის თვითღირებულებას;

შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის გზით უზრუნველყოფთ ყველა მატარებლის მაღალხარისხოვან შედგენას;

ვადამდე, 1 დეკემბრისათვის შეასრულებთ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის წლიურ გეგმას;

სანიმუშოდ მოგაწესრიგებთ სადგურის ყველა სასამსახურო-ტექნიკურ შენობას.

კოლექტივმა მიიღო ეს ვალდებულებანი და გადაწყვიტა შეჯიბრებაში გამოიწვიოს სამტრედიის სადგურის მუშაკები;

ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა

ხუთწლედის ორ წელიწადში კოლმეურნეობამ გაყიდა 7.100 ცენტნერი წმყვანი ტექნიკური კულტურა — თამბაქო. გეგმით გათვალისწინებული 7 ათასი ცენტნერის ნაცვლად, თანაც 80 პროცენტი უმაღლესი ხარისხისა. სახელმწიფომ კალინინელებისაგან მიიღო 3,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მარცვლეული, საადრეო ბოსტნეული, ეთერზეთოვანი კულტურები, ბალიჩეული, ყურძენი, ხორცი, რძე, ამბრელუმის პარკი და ბევრი სხვა პროდუქცია.

მთელი ეს პროდუქცია წარმოებულია 838 ჰექტარ სახნავ-სათესზე შრომის კარგი ორგანიზაციის, ყოველი მტკავლი მიწის ყაირათიანი და ინტენსიური გამოყენების, ყოველი კილოგრამი მინერალური სასუქისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების რაციონალური გამოყენების, მეწამოქმედების მაღალი კულტურის წყალობით.

კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა ვალდებულებანი იკისრეს ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო გაადიდონ თითოეული ჰექტარის ნაყოფიერება.

თუ შარშან მარცვლეული კულტურების ერთ ჰექტარ ნათესზე მიღებული იყო 30 ცენტნერი პროდუქცია, წელს კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მიიღონ 35 ცენტნერი, თამბაქო — 22 ცენტნერი — შარშანდელზე ორი ცენტნერით მეტი. ერთი ძროხის საშუალო წველადობა შეადგენს 3.000 კილოგრამს შარშანდელ 2.800 კილოგრამთან შედარებით. გადაწყვეტილია სახელმწიფოს მიჰყიდონ 90 ტონა ხორცი — შარშანდელზე 15 ტონით მეტი, საადრეო ბოსტნეული კი 700 ტონა, რაც 189 ტონით აღემატება შარშანდელს. (საქინფორმი).

ДИДИ ЕНТУЗИАЗМИТ

დიდი ენთუზიაზმით შეხვდა თბილისის საცდელ-ექსპერიმენტული ქარხნის კოლექტივის ყველა წევრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს.

ამასთან დაკავშირებით საამქროებსა და ბრიგადებში ეწყობა საუბრები,

ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც თ. ცერცვაძე ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა კონსტიტუციის დღისათვის გამოუშვას 6.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სურათზე: მარცხნიდან — ზეინკალ-მეიარაღე ო. მურადოვი, ხარატი შ. ლალიაშვილი, ამწყობი ზეინკლები რ. ხოკოიანი და გ. ოგანეზოვი, საამქროს უფროსი ჯ. გოგვაძე, მრანდავი თ. ავალიშვილი და ამწყობ-ზეინკლთა ბრიგადის ხელმძღვანელი თ. ცერცვაძე.

გ. გოგოხია ფოტო.

შრომა — მხოლოდ დამკვრელური!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მოწვევის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი IX პლენუმი მოწვეულ იქნეს 1978 წლის 10-11 თებერვალს შემდეგი დღის წესრიგით: „საქართველოს სს რესპუბლიკაში პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და „სამეურნეოგათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ საკითხზე მომხსენებლად დამტკიცებულია ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცნობებს რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს, კომუნისტებსა და ყველა მშრომელს, რომ მომდინარე წლის თებერვლის პირველ ნახევარში გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმი განიხილავს საკითხს — რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სამეურნეოგათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საქმეში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პლენუმის მასალების მომზადებაში მონაწილეობდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სპეციალისტები, პრაქტიკოსები და მეცნიერები, სასოფლო-სამეურნეო, სახელმწიფო, კოოპერაციული და სამეურნეოგათშორისო საწარმოების ხელმძღვანელები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო აგრეთვე პარტიის რაიკომებისაგან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის იმ ადგილობრივი პროგრამების მონახაზები, რომლებიც შედგენილია რაიონებისა და ქალაქების პარტიულ-სამეურნეო აქტივთან ერთად მათი განხილვის საფუძველზე.

ავითარებს რა დამკვიდრებულ ტრადიციას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავისი მორიგი პლენუმის წინ საჭიროდ მიაჩნია რესპუბლიკის საზოგადოებრიობას მოეთათბიროს განსახილველ საკითხზე, რათა პლენუმის მუშაობაში აისახოს მეცნიერთა, სპეციალისტთა, პრაქტიკოსთა, კოლმეურნეთა, მექანიზატორთა, მშენებელთა — იმათი ყველაზე საყურადღებო წინადადებანი და რჩევა, ვინც დაინტერესებულია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დაჩქარებით.

წერილები, რომლებშიც იქნება რჩევა და წინადადებანი, გთხოვთ გამოგზავნოთ მისამართით: ქ. თბილისი, შ. ჩიტაძის ქუჩა, 2, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. კონვერტზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს — „სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

17 იანვარი ● „პრავდის“ ფურცლებზე

შეჯიბრების სათავეში

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია მოწინავე წერილში, ცხოვლად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ხალხმრავალ მტინგებზე, რომლებიც ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს, მშრომელები წერილს უწოდებენ მოქმედების კონკრეტულ პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს მთელი მეცადინეობა მოახმარონ ხუთწლედის საკვანძო ამოცანების გადაწყვეტას.

ახლა კომუნისტთა უპირველესი საზრუნავია გამოიყენონ მასობრივი აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მთელი არსენალი, ფართოდ გაშალონ მუშაობა წერილის ახსნა-განმარტებისათვის, გადააქციონ ეს მუშაობა ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის ცენტრად.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ყოველმხრივი შესწავლა უაღრესად მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან, თითოეული საწარმოო რგოლის გეგმებთან და ვალდებულებებთან. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ წერილის შინაარსის ღრმა გააზრება ყველგან ხელს უწყობდეს შეჯიბრების ახალ მძლავრ აღმავლობას, მისი ქმედითობის გაძლიერებას.

სოციალისტური შეჯიბრება ყველა უბანზე ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამაღლების მძლავრი სტიმულია, განაგრძობს გაზეთი, მაგრამ მისი ეს შესანიშნავი თვისება მთლიანად მხოლოდ იმ შემთხვევაში ვლინდება, თუ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად აუმჯობესებენ შეჯიბრების ხელმძღვანელობას, შეურიგებლად ეკიდებიან ფორმალიზმის ყოველნაირ გამოვლინებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კონტროლი სოციალისტური ვალდებულებების, შეხვედრი გეგმების შესრულებისადმი. იქ, სადაც ამას სათანადო მნიშვნელობას ანიჭებენ, მკაცრ პარტიულ მომკითხველობას კონკრეტულ დამარცხებას უხამებენ, წარმატება აშკარაა.

მაგრამ ხშირად ასეც ხდება: ბევრს კი ილაპარაკებენ ვალდებულებების შესახებ, მაგრამ მალე დავიწყებენ ხოლმე მათ. შემდეგ გამოიკვეცა, რომ დასახული ქალაღლდზე დარჩენილა. ამგვარი ფაქტები მოიყვანეს პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, რომლებმაც ახლახან განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები. სომხეთში, მაგალითად, ათობით საწარმოს არაერთხელ ჩაუშლია არა მარტო თავისი ვალდებულებანი, არამედ პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებანიც.

მეთაურში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ უფრო ნათლად, სრულად უნდა გავაშუქოთ საკავშირო შეჯიბრების მიმდინარეობა პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

თითოეული კომუნისტის ღირსების საქმეა, აღნიშნულია დასასრულ, მუდამ და ყველაფერში იყვნენ წინ, სათავეში ედგნენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლას, იღვწოდნენ ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებისათვის!

ПРАВДА

„კოსმოსური მივლინების“ ანგარიში

ბაიკონური, 17 იანვარი. (საკქსი). ბაიკონურის კოსმოდრომზე ჩამოსული კოსმონავტები ვლადიმერ ჯანიბეკოვი და ოლეგ მაკაროვი შუადღეზე სამუშაო ორბიტაზე თავიანთი ხანმოკლე მივლინების შესახებ ანგარიშის შედგენას. თუმცა, კოსმოდრომზე მათ ჩამოიტანეს მხოლოდ ბორტჟურნალები, დაკვირვების ჩანაწერები და პირადი დღიურები. „სოიუზ-26“ ხომალდით დედამიწაზე ჩამოტანილი სამეცნიერო ბაგაჟის ძირითადი ნაწილი — ბიოლოგიური ობიექტები, რომლებიც გადიოდნენ ექსპონირებას კოსმოსში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის „ციტოსის“ ექსპერიმენტის პროგრამით, ფოტოფირი და სხვა სამეცნიერო მასალები, — კოსმონავტებმა მეცნიერებს გადასცეს ძირს დაშვებამდე ადგილას.

მედიკოსებს მდიდარი მასალა მისცა ორი კოსმოსური წყვილის ხუთი დღის ერთობლივმა ფრენამ, რომლებთაგან ერთი შავი რამდენიმე კვირაა კოსმოსში მუშაობს, მეორე კი „უწონობისადმი შეგუების“ იტალბეს იყო, ბუნებრივია, რომ მათ შეადგინეს „პამირების“ ფრენის შემდგომი გამოკვლევის შემჭიდროებული გრაფიკი. დედამიწაზე გატარებული პირველი ღამის შემდეგ, ვ. ჯანიბეკოვი და ო. მაკაროვი მუშაობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო ლაბორატორიაში, რომლებიც სასტუმრო „კოსმონავტებში“ მდებარეობს. შემდეგ ორივემ პარკში გაისეირნა, ნაუადღეზეს კი პირველ სამუშაო კონფერენციაზე შეხვდნენ ინჟინრებს, ხომალდისა და სადგურის სხვადასხვა სისტემის სპეციალისტებს.

კოსმოდრომზე მზე ისე თვალისმომჭრელად ანათებს, როგორც მთაში. ეს-ეს არის მოსულმა თოვლმა თეთრად შემოსა ველი. დღეს დღისით იური რომანენკომ და გიორგი გრეჩკომ, რომლებმაც კოსმოდრომს გადაუფრინეს, შემოთვალეს დღემდე ვიგონებთო ორბიტაზე ერთად გატარებული ხუთი დღის სასიხარულო მომენტებს, და „პამირების“ უსურვებენ მალე შეხვედროდნენ ვარსკვლავეთა ქალაქს, თავისიანებს.

* * *

16 იანვარს დაგეგმილი კვლევისა და ექსპერიმენტების შესრულების შემდეგ კოსმონავტები ვ. ჯანიბეკოვი და ო. მაკაროვი დედამიწაზე დაბრუნდნენ. **ს ხ ვ ა თ ზ ე:** კოსმონავტები „სოიუზ-26“ კოსმოსური ხომალდის დასაშვებ აპარატთან მიწაზე დაშვების შემდეგ.

სკკდს-სკძინფორმის ტელეფოტო.

მიფრინავს „კოსმოს-985“

1978 წლის 17 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-985“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ბუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ავპაღლოთ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომა

მეათე ხუთწლედის მეორე წელმა ღრმა კვალი დატოვა რესპუბლიკის დედაქალაქის შრომითს მატიანეში.

რესპუბლიკის დედაქალაქის შრომელებმა, სამეცნიერო-ტექნიკურმა ინტელიგენციამ, კულტურის მოღვაწეებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ასრულებენ და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სიიუბილეო ვახტზე იდგნენ, არსებითს წარმატებებს მიაღწიეს 1977 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა 24 დეკემბრისათვის, სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებულ ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულეს ძირითად სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების წლიური გეგმა. გეგმის გადაჭარბებით არის წარმოებული და რეალიზებული შესაბამისად 62,7 და 53.2 მილიონი მანეთის სარეწველო პროდუქცია, მაშინ როცა სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული იყო 45 მილიონი მანეთისა. გადაჭარბებულია წარმოების მოცულობის ზრდის დაგეგმილი ტემპიც. გაუმჯობესდა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. განვლილ წელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა 200 ნაწარმს და მათმა საერთო რიცხვმა 363-ს მიაღწია სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 280-ის ნაცვლად.

ქალაქ ბუთაისის და ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კომიტეტების პატრიოტული ინიციატივას — „ვიმუშაოთ საიუბილეო წელს ისე, რომ მრეწველობაში არ გვყავდეს ჩამორჩენილი კოლექტივები“, — დიდ მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა— ქუთაისსა და თბილისის პირველი მაისის რაიონში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო.

გარკვეული წარმატებებით ხასიათდება გასული წელი ქალაქის კაპიტალური მშენებლობის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის. მისი ხატოვანსპორტო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების დარგშიც.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, ქალაქის სამრეწველო საწარმოთის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და ხელმძღვანელებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ წარმატებათა მისაღწევად. მაგრამ ახალი წლის დაგალებათა შესასრულებლად საჭიროა იეაზეოლოთ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა ყველა უბანზე და ყველა დონეზე, რათა პარტიული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საქმიანობა შეესაბამებოდეს სკკპ XXV ყრილობის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებისა და განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანებს. იმ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც პლენუმზე გამოსვლაში ჩამოთვალეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ანხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამის შესახებ დიდი საკითხია იყო საქართველოს კომპარტიის ობილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები. საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები.

სხდომაზე საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. გაბუნიამ გააკეთა ინფორმაცია „სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის და საიუბილეო ვალდებულებების შესრულების შედეგებისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებების შესახებ“.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ „თბილისგეორგბმშენის“ ბრიგადირი ა. დათაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მდივანი ბ. მახარაშვილი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ პარტკომის მდივანი ჯ. ოდანიძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორი თ. სტურუა, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწე ე. გიგაშიძე, № 3 თეთრძოსახუტების უნიკალური მაღაზიის მოლარე-კონტროლიორი მ. მუკანიანი.

სხდომაზე მთავარი ყურადღება დაეთმო ეკონომიკის ყველა დარგში, თითოეულ საწარმოში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის, მატერიალური რესურსების ყირათიანი და რაციონალური გამოყენების საკითხებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორც ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, ყველაფერი უნდა იღონონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, დაუთმავრებელი მშენებლობის მოცულობის მკვეთრი შემცირებისათვის. ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სამძღვარეების დროული ამოქმედებისათვის, საქეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში, ყველა უბანზე ორგანიზებულობისათვის ბრძოლა.

საბოლოო განგარიშით სწორედ ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია, რომ ამ და აგრეთვე მთელ რიგ სხვა საწარმოებში კორექტირებულია წლიური გეგმები შემცირების მიზნით, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა კოლექტივების მორალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროზე, აგრეთვე სრულიადან ქალაქში წარმოების ზრდის მაქსიმალური ტემპის უზრუნველყოფაზე.

განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, სამრეწველო საწარმოთა პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

სრულიად შეუწყნარებელია, აღნიშნეს ორატორებმა, როცა მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები ასუსტებენ სოციალისტური კონნიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი მომთხოვნელობას, რასაც მოწმობს დატაცების, სახელმძღოლეგო ვალდებულებათა უხეში დარღვევის, ნორმენკლატურის გეგმების ჩაშლის და სხვა ფაქტები.

„განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შეუსრულებლობა (ფაქტიურმა შესრულებამ მხოლოდ 83 პროცენტი შეადგინა), აგრეთვე დაუთმავრებელი მშენებლობის ჯერ ისევ მნიშვნელოვანი მოცულობა. სერიოზული პრეტენზიები გამოითქვა მოსახლეობის მოწესახურების სფეროს მუშაკთა მიმართ.

ყველა ეს ნაკლი უნდა აღმოიფხვრას, ითქვა სხდომაზე, მიღწეული წარმატებები უნდა გამოიყენონ როგორც იმ პასუხსაგებ ამოცანების შესრულების საძირველი და საფუძველი, რომლებიც 1978 წელს დგას დედაქალაქის მშრომელთა წინაშე. წარმოების ყოველი რეზერვი უნდა გადავქცეთ ბიღალი კულტურის, სანიმუშო დისციპლინის ნიშნად. ეს იქნება საუკეთესო პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა განიხილეს დედაქალაქის მშრომელთა 1978 წლის ახალი გაღიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. რომლებიც ითვალისწინებს ეკონომიკის შემდგომ ზრდას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, დისციპლინის შემტკიცებასა და მუშაობის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ბიურომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ „კაპიტალური მშენებლობის შედეგის და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი ცალკე განიხილონ.

გადაწყდა, რომ 1977 წლის გეგმის შესრულების შედეგები განიხილონ ქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი. (საქინფორმი).

ზუთხლედის ბოლოს ანგარიშებს შეეკვეთლ ულქმენ!

სამხრეთ ოსეთის საოლქო კომკავშირული ორგანიზაციის 35-ე კონფერენცია

□

გაიმართა საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის XXXV კონფერენცია, რომელზეც მოხსენება გააკეთა კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ფუსაევამ.

სამხრეთ ოსეთის საოლქო კომკავშირული ორგანიზაციის სარეკვიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ვალიევამ.

უდიდესი დამრაზმველი და წარმმართველი ძალის დოკუმენტები, აღინიშნა კონფერენციაზე, არის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მასალები, რომლებშიც ბისახა პარტიისა და ხალხის უდიდესი მუშაობის შედეგები მეათე ბუთწლედის პირველ ორ წელიწადში, დაზუსტდა მორიგი ამოცანები, დაისახა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის შემდგომი მოქმედების პროგრამა.

სამხრეთ ოსეთის ქალაშვილებისა და ჭაბუკების მრავალათასიანი არმია იწოდებს და მხურვალედ უჭერს მხარს სკკპ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, განუხრელად ააქტიურებს თავის მონაწილეობას სკკპ XXV ყრილობისა და სრულიად საკავშირო ალკკ XVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. ოლქის ათი ათასობით კომკავშირელი, ახალგაზრდა მშრომელი ჩაება პარიოტულ მოძრაობაში „ოფიციანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდათა ინოუზიასმი და შემოქმედება“, 3.300-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მუშაობს დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვიდიდთ!“ სრულიად საკავშირო ალკკ 800-ზე მეტი წვრილ პროდუქციას ხარისხის კომკავშირული გარანტიით აბარებს. საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდა მშრომელობამ შეიტანეს 142 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვის შედეგად მიღებულმა პირობითმა ეკონომიკურმა ეფექტმა 102 ათასი მანეთი შეადგინა. ათასობით კომკავშირელი აქტიურად მონაწილეობს მოძრაობაში „მხარი ვუსწორთოთ კომუნისტებს“. ოლქის დაახლოებით 2.500 ახალგაზრდა მშრომელმა საიუბილეო წლის 7 ნოემბრისათვის შესრულება ხუთწლედის ორი წლის გეგმები, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა წარმატებულ სტარტს ხუთწლედის მესამე წელს.

ოლქის კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის ბრძოლაში. კომკავშირელთა, ოლქის მრეწველობის ახალგაზრდა მუშაკთა მნიშვნელოვანი წვლილია იმაშიც, რომ სამხრეთ ოსეთის საწარმოები 11 სახეობის პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ნიშნით უშვებენ.

ამასთან, ღრმად გააანალიზეს რა მუშაობა საანგარიშო პერიოდში, კონფერენციის მონაწილეებმა პრინციპული შეფასება მისცეს იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობაში. დასახეს მათი აღმოფხვრის გზები. განსაკუთრებული ყურადღება დათმო იმასა, რომ საჭიროა კომკავშირელებმა კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მატერიალური გამოყენების, ინდუსტრიული რესურსების მეცხოველეობის ბაზაზეს ზრდილობა. მშნიბლელთა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების კადრების მომზადების, ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე კომკავშირელთა ავანგარდული როლის ამაღლების საქმეში.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. კოლბინი

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარმანავა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. შიშოვი.

□

გაიმართა საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნად პლენუმმა აირჩია ფ. ფუსაევა. მეორე მდივნად — თ. ჩაბახმელიაშვილი, მდივნად — შ. ქოქოევი. (საქინფორმი).

□

სსრ კავშირის უმაღლესის სამინისტროში

1978 წლის 6-10 თებერვალს მინსკის, ორშის, პოლოცკის რაიონში დაგეგმილია მოეწყოს ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნა, რომლის პირობითი სახელწოდებაა „ბერეზინა“. წვრთნის მიზანია სხვადასხვა გვარეობის ჯარების ურთიერთმოქმედების საკითხების დამუშავება.

წვრთნაში მონაწილეობას მიიღებენ სახმელეთო ჯარები სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებთან და ქვეგანაყოფებთან ერთად. ნავარაუდევია ჯარების წვრთნაში მონაწილეობა მიიღოს დაახლოებით 25 ათასმა კაცმა.

ეს დღეები სოფლად

„მომზადებული შეეხვდეთ ხუთწლედის მესამე წლის გაზაფხულს!“ — ამ დევიზით შრომობენ იანვრის დღეებში საგარეჯოელი მექანიზატორები. მათ ზედიზედ გამომყავთ მზადყოფნის ხაზზე ტრაქტორები, ეუთნები, კომბაინები, კულტივატორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

სურათზე: „საქსოფლტექნიკის“ საგარეჯოს რაიონული გაერთიანების მოწინავე მერემონტეები (მარცხნიდან მარჯვნივ): თამაზ ჩულტაშვილი, ჯემალ ნაკულაშვილი, გიორგი მელაშვილი, ნუგზარ ქურდოვანიძე და ალექსანდრე პაპუნაშვილი.

ე. მბრნოვეი ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფიქრები და საქმენი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმის შემდეგ

ინტენსიფიკაცია — ეფექტიანობის გზა!

უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ თითოეული ჰექტარი მიწა, თითოეული ცენტნერი საკვები და სასუქი!

□

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამ პლენუმზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში განსაზღვრული ნოვა საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეცხრამეტეული ბრეგადა, დასახულია ჩვენი შეუნელებელი წინსვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

ადამიანთა სულ უფრო მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. ეანვლილ წელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა 200 ნაწარმს და მათმა საერთო რიცხვმა 363-ს მიაღწია სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 280-ის ნაცვლად.

ეს ფაქტორები, ეს ციფრები ადასტურებენ, რომ ბოლო ხანებში ჩვენ ბევრი ეკეთებოდა ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა, ეფექტიანობის ამაღლების, ეროვნული შემოსავლის ზრდის, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების

მსოფლიოს ამბები

სოციალიზმის ქვეყნებში

მონგოლეთი

მეცნიერება — სოფლის მეურნეობას

ულანბაატარი. აზრდება მონგოლეთში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რიცხვი. ამჟამად 41 ასეთი ინსტიტუტი მოქმედებს. მეცნიერების განვითარებისათვის ჯამოყოფილ ასიგნებათა რაოდენობა უკანასკნელ წლებში სამჯერ გაიზარდა.

ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების თანამშრომლები მეცნიერულ კვლევას აწარმოებენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება სახალხო მეურნეობის პრობლემებს ეთმობა. ამ ბოლო ხუთ წელიწადში მონგოლმა მეცნიერებმა წარმოებაში 500-ზე მეტი სიახლე დანერგეს.

სამეცნიერო კვლევის პროგრამის გაფართოებაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა, რომლებიც მონგოლეთს ეხმარებიან მრავალფეროვანი ლაბორატორიების შექმნაში, აგრეთვე სამეცნიერო ინფორმაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრების აგებასა და აღჭურვაში. მოძმე სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტები მონგოლ მეცნიერებთან ერთად ბევრ საყურადღებო პრობლემაზე მუშაობენ.

ბულგარეთი

დედაქალაქი იზრდება

ამჟამად სოფიაში ბულგარეთის მთელი მოსახლეობის 12 პროცენტი ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ყოველი მერვე მოქალაქე დედაქალაქის მცხოვრებია. ქალაქის მოსახლეობა 1946 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა. შობადობის კოეფიციენტმა შარშან ყოველ 1000 ადამიანზე 17,2 შეადგინა, მაშინ როცა საერთო კოეფიციენტი მთელს ქვეყანაში 16,5-ია.

დედაქალაქის შრომისუნარიან მოქალაქეთა 80 პროცენტი მატერიალურ წარმოებაშია დასაქმებული. აქ 187 ათასამდე უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობს.

კოლონეთი

1.800 კილომეტრი სიგრძის... მატარებელი

ქალაქ ზელენა-გურაში არის ერთი ხაზარმო, რომელსაც პოლონეთის ფარგლებს გარეთ შორს აქვს განთქმული სახელი. ეს გახლავთ „ზასტალის“ ქარხანა — ადგილობრივი ინდუსტრიის ფლაგმანი და რესპუბლიკაში უდიდესი სარკინიგზო ვაგონების მწარმოებელი. „ზასტალის“ მარკის ვაგონები დაჭრიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის. საბერძნეთისა და ირაყის ფოლადის მაგისტრალებზე...

თითქმის 30 წელიწადია, რაც საწარმოს პროდუქციის უდიდესი დამკვეთია საბჭოთა კავშირი. ოღონდ „ზასტალის“ საამქროებში დამზადებული 96 ათასი „საიქსპორტო“ ვაგონიდან 92 ათასი მოძმე ქვეყანაში გაიგზავნა.

ამ წლების მანძილზე სსრ კავშირში შემოშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე ქარხანაში ითვისეს ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება. ეს არის თვითმცლელი ვაგონები თხევიერი მასალების გადასაზიდად, ვაგონ-ციანტერნები და სხვა. ამჟამად საბჭოთა კონსტრუქტორებთან თანამეგობრობით იქმნება მარკილეულსაზიდი. მისი მთავარი მყიდველი კვლავ საბჭოთა კავშირი იქნება.

პოლონეთის ვაგონმშენებლობის მეთაური საწარმოს სიმძლავრე წლითიწლობით იზრდება. თუ პირველი 50 ათასი ვაგონის წარმოებას 18 წელიწადი დასჭირდა, მომდევნო 50 ათასი ქარხნის კოლექტივმა 8 წელიწადში გამოუშვა.

„ზასტალის“ ქარხანაში დაიანგარიშეს, აქ დამზადებული ვაგონები ერთ რიგად რომ დაგვეყენებინა, მატარებლის შემადგენლობის სიგრძე 1800 კილომეტრს მიაღწევდა...

უნგრეთი

ქანდაკებათა პირების მუზეუმი

უნგრეთის ქალაქ ტატეში გაიხსნა ანტიკური ქანდაკებათა პირების მუზეუმი. იგი ამჟამად მეხუთეა ევროპაში. ასეთი მუზეუმი უკვე არსებობს ბაზელში, ბონში, დრეზდენსა და ლენინგრადში.

ტატეში თავმოყრილია ჩვენს ერამდე VII საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვით III საუკუნემდე შექმნილი ორასი ბერძნული და რომაული ქანდაკებისა და რელიეფის პირი, რომელთა ორიგინალები გაბნეულია მსოფლიოს თხუთმეტ სახელგანთქმულ მუზეუმში (აას).

ახლო აღმოსავლეთი

სეპარატული გარიგების გზით

ეგვიპტესა და ისრაელს შორის სეპარატული მოლაპარაკების მორიგი ეტაპის — იერუსალიმში ეგვიპტე-ისრაელის პოლიტიკური კომიტეტის პირველი სხდომის მწვავე წინ — მხარეების პოზიციებში მწვავე უთანხმოება წარმოიშვა დღის წესრიგის საკითხების გამო. ამ უთანხმოებას მოჰყვა ის, რომ სესიის გახსნა გადადო ერთი დღით — 16-დან 17 იანვრისათვის.

უთანხმოება, რომელიც საერთოდ ჩაშლას უქადდა ამ შეხვედრას, მოწესრიგდა მხოლოდ მეერთებული შტატების აქტიური ჩარევის შემდეგ, რომელმაც მხარეებს თავს მოახვია დღის წესრიგის ძირითად დებულებათა თავისი ფორმულირება. როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, პალესტინის პრობლემის პუნქტები ამერიკის განმარტებაში არ ეხება მის არსს. მიუხედავად ამისა, ეგვიპტე დათანხმდა ასეთ მიდგომას და გაგზავნა იერუსალიმში თავისი დელეგაცია.

შეერთებული შტატები, რომლის წარმომადგენელი იერუსალიმის შეხვედრაზე იქნება სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი, მხარს უჭერს პალესტინის პრობლემის „შუალედურ“ გადაჭრას, რაც ხელს აძლევს ისრაელს. ეს პრობლემა ითვალისწინებს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში შეიქმნას ადმინისტრაცია, რომლის შემადგენლობაში შევლენ ისრაელის, იორდანიის, ეგვიპტისა და პალესტინის წარმომადგენლები. არსებითად ამერიკული გეგმა არ გამორჩენია ისრაელის მოთხოვნისაგან, რომ არაბეთის ამ ოკუპირებულ ტერიტორიებს მიანიჭონ შეზღუდული ავტონომიის სტატუსი და შეინარჩუნონ იქ ისრაელის სამხედრო ყოფნა. იგი გაურკვეველი ვადით სწევს პალესტინის პრობლემის საბოლოო გადაჭრას და სავსებით უგულებელყოფს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას.

მიუხედავად ამისა, რომ ისრაელთან ორი თვის სეპარატული მოლაპარაკების მანძილზე ეგვიპტე უკვე მთელ რიგ პრინციპულ დათმობაზე წავიდა, რომელთა შორისაა არ ცნოს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად, ისრაელი კვლავ ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მასზე. ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბეგინს, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, არ მიაჩნია, რომ „სადათი უკვე ყველაფერი გაკეთა“, და „ეგვიპტელებისაგან ახალ დათმობებსა და კომპრომისებს მოელის“. ეს ზემოქმედება ნაყოფს იძლევა. მაგალითად, ლონდონის „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს: სადათი არ აპირებს დაბჯითებით მოითხოვოს მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირიდან ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა.

აფასებს რა მთლიანად ისრაელ-ეგვიპტის მოლაპარაკების პერსპექტივებს პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტების მუშაობის სტადიაში, „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ეს მოლაპარაკება „გაგრძელდება კვირების თუ არა, თვეების მანძილზე, და, შესაძლოა, დრო და დრო შეწყდება“.

ეგვიპტის პრეზიდენტის კაპიტულანტური კურსი არაბულ სამყაროში მრავალრიცხოვან პროტესტებს იწვევს. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა, რომელიც გამოვიდა ლიბანის ტერიტორიაზე პალესტინის ერთ-ერთ ბანაკში, კვლავ დაადასტურა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა ვერ დამყარდება პალესტინელი ხალხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. მან ხაზი გაუსვა, რომ პალესტინელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას და ჩაშლის მის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებას.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჰადამმა ბეირუთის გაზეთ „ეს-საფირისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ისრაელთან სეპარატული გარიგების კურსით კაირო მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთში შექმნას ეგვიპტე-ისრაელის ალიანსი ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით პროგრესული რეჟიმების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბენგასში, ჰომსსა და ლიბიის სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა მოღვაწეებმა დაგმეს ეგვიპტის პრეზიდენტის პოლიტიკა და მას უწოდეს არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღალატი.

(საკდესი).

ეთიოპია — სომალი:

ვინ აფარებს წყალტუბოს შეიარაღებულ ჯგუფებს

როგორც საზღვარგარეთის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, სომალში ნატოს ქვეყნებიდან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის იარაღის ახალი პარტიები. მას დაუყოვნებლივ გზავნიან რეგულარული არმიის ნაწილებში, რომლებიც ეთიოპიის აღმოსავლეთის რაიონებში არიან შეკრული.

როგორც პარიზის გაზეთი „მატენი“ აღნიშნავს, ვაშინგტონი სომალის ერთ-ერთი მთავარი სამხედრო მიმწოდებლის როლს მიაკუთვნებს ავრეთვე საუდის არაბეთს, სადაც ამას წინათ იყო პრეზიდენტი ჯ. კარტერი. ამას, კერძოდ, მოწმობს თეირანში საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა, რომელმაც იქ ირანის შაჰს მეფე ჰალედის წერილი ჩაუტანა. მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის უპირობო მხარდაჭერა გაუწიოს სომალს.

ეთიოპიის სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ კავშირს შეუერთდა ჩინეთიც, რომელიც აგრეთვე სომალელ აგრესორთა სამხედრო მიმწოდებელია. როგორც ინგლისის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება მოგადიშოში მიიღეს ჩინური იარაღის რამდენიმე პარტია. მათ შორის „დედაფიწა, ჰაერის“ კლასის რაკეტები. გაზეთი ხაზს უსვამს რომ ჩინეთის სამხედრო ტექნიკის მიწოდება აძლიერებს აფრიკის რქის რაიონში დიდი ომის დაწყების საშიშროებას. (საკდესი).

ადის-აბება, 16 იანვარი. (საკდესი). ეთიოპია არ აპირებს თავს დაუსხას რომელიმე ქვეყანას, და ომი, რომელსაც იგი სომალის აგრესორთა წინააღმდეგ ეწევა, წმინდა თავდაცვითია, განაცხადა აქ ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრმა, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს საგარეო ურთიერთობის განაყოფილების უფროსმა ბერჰანუ ბაიემ.

მოგადიშოს რეჟიმული წრეები, აღნიშნა ბერჰანუ ბაიემ, ეთიოპიის წინააღმდეგ აგრესიულ ომში იყენებენ ტანკებს, მძიმე არტილერიასა და რეაქტიულ ავიაციას. ამასთან ეყრდნობიან შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების დახმარებასა და მხარდაჭერას. ყოველივე ამას, აღნიშნა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წარმომადგენელმა, შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ და მხოლოდ სომალის აგრესიის გაფართოება და ეთიოპია-ამერიკის ურთერთობის გაუარესება.

ამერიკის უხეში ჩარევის წინააღმდეგ

პროტესტების ტალღა ფართოვდება

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოვდება პროტესტები მათს სანინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ჩარევის, კერძოდ, სახელმწიფო დეპარტამენტის ამ განცხადების წინააღმდეგ, რომ შეერთებულ შტატებს „სასურველად“ არ მიაჩნია კომუნისტების მონაწილეობა იტალიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მთავრობებში.

რომი. პარლამენტში ვაშინგტონის მოქმედების გამო შეკითხვა შეიტანა დეპუტატთა ჯგუფმა — იტალიის სოციალისტური პარტიის წევრებმა. დეპუტატებმა ხაზი გაუსვეს იტალიის საშინაო ცხოვრებაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის „შეუწყნარებელი ჩარევის“ ფაქტს. ამერიკის ხელისუფალთა პოზიციის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს იტალიელ მეროვნელთა ქრისტიანული ასოციაციის ხელმძღვანელებმა, აღშფოთებული ვართ, განაცხადა იტალიელ მშრომელთა ქრისტიანული ასოციაციის თავმჯდომარემ ტ. როზატმ, ჩვენი ქვეყნის საქმეებში გარედან ამ ჩარევის გამო.

დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იტალიაზე ახდენს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ზეგავლენასაც, აყოვნებს 500 მილიონი დოლარი სესხის მიცემის გადაწყვეტილების მიღებას.

პარიზი. „ფრანგთა უმრავლესობა შეაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ, მიაჩნია იგი შეუწყნარებელ ჩარევად ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში“, — განაცხადა სოციალ-დემოკრატთა ცენტრის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. სტაზმ.

ამერიკის ადმინისტრაციას, წერს გაზეთი „მონდი“, არასოდეს არ განუსაზღვრავს თავისი პოზიცია ესოდენ მკაფიოდ და ესოდენ მკვეთრად, როგორც ახლა. შეესაბამება თუ არა სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება ვალდებულებებს, რომლებსაც ვაშინგტონმა ხელი მოაწერა, კერძოდ ჰელსინკში და რომლებიც კრძალავენ ყოველგვარ ჩარევას სხვა ქვეყნების საქმეებში? დემოკრატიის დაცვის მიზნით გამოსვლა საოცარ აქცენტს იღებს, როცა ამგვარი ჩარევა ახლავს თან...

მადრიდი. ესპანეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება აბსოლუტურად შეუწყნარებელი ჩარევაა დასავლეთ ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში.

მკაცრად აკრიტიკებს რა ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედებას, გაზეთი „პაისი“, კერძოდ წერს: „ხალხს უფლება აქვს აირჩიოს თავისი მთავრობა, ამიტომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება ნამდვილი ჩარევაა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. ასეთ განცხადებას აკეთებს ქვეყანა, რომელიც ცნობილია შეთქმულებების, სახელმწიფო გადატრიალებების მთელ სერიაში მონაწილეობით. ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა საბერძნეთსა და ჩილეში, რომელთა მთავრობები ვაშინგტონს „ხელს არ აძლევდა“, ჯერ კიდევ არავის არ დავიწყებია“.

ფინეთი

არჩევნების პირველი ეტაპი დამთავრდა

ჰელსინკი, 17 იანვარი. (საკდესი). **ფინეთში დამთავრდა პრეზიდენტის არჩევნების პირველი ეტაპი.** 15-16 იანვარს ექვსსაათის დროს არჩეულია რესპუბლიკის პრეზიდენტის ამრჩევთა კოლეგია, რომელშიც 300 აცი შევიდა. ერთი თვის შემდეგ, 15 თებერვალს, პარლამენტში პრემიერ-მინისტრის კ. სორსას თავმჯდომარეობით კოლეგია აირჩევს ფინეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტს მოქალაქეთა ექვსი წლისათვის.

ექვსი პოლიტიკური პარტიისაგან, მათ შორის ფინეთის კომუნისტური პარტიის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ცენტრის პარტიისა და სხვა პარტიებისაგან კანდიდატად დასახელებულია ფინეთის ახლანდელი პრეზიდენტი ურხო კალევა კეკონენი.

მთელმა რიგმა მემარჯვენე პარტიებმა დაასახელეს პრეზიდენტობის ოთხი სხვა კანდიდატი.

აქ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების შესაბამისად, ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა უ. კ. კეკონენის კანდიდატურას. 300 ამომრჩეველიდან 260 პრეზიდენტის პოსტზე უ. კ. კეკონენის ხელახალი არჩევის მომხრეა.

ბელგრადი

შეხვედრის დამამთავრებელი ეტაპი

ბელგრადი, 17 იანვარი. (საკდესი). **დღეს მუშაობა განაახლა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრამ.**

წინათ დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად, ევროპის 33 ქვეყნის, ავრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის დელეგაციებმა ბელგრადის შეხვედრის ამ დამამთავრებელ ეტაპზე უნდა მომზადონ და რედაქცია გაუკეთონ საბოლოო დოკუმენტს, ისინი აგრეთვე უნდა შეთანხმდნენ შემდეგი შეხვედრის მოწყობის ადგილისა და თარიღის შესახებ.

დღევანდელ პლენარულ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ი. მ. ვორონცოვმა შეიტანა საბოლოო დოკუმენტის პროექტი, რომელიც ბელგრადის შეხვედრის კონსტრუქციული, დადებითი პლანით დამთავრების შესაძლებლობას იძლევა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

დაუსჯელი დანაშაული

საპროტესტო მანიფესტაცია დურბანში

მაპუტო. (საკდესი). **სამხრეთაფრიკელი რასისტების ტერორის წინააღმდეგ საპროტესტო მახმბრივ მანიფესტაციად იქცა აპარტეიდის წინააღმდეგ თვალსაჩინო მებრძოლის რიჩარდ ტერნერის დაკრძალვა დურბანში.** ქალაქის ათასობით თეთრკანიანი და აფრიკელი მცხოვრები შეიკრიბა ნატალის უნივერსიტეტის 36 წლის მასწავლებლის დაკრძალვაზე, რომელიც სამხრეთ აფრიკის საიდუმლო პოლიციის დაქირავებულმა მოკლეს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბელსუფალნი დიდიხანია დევნიდნენ რ. ტერნერს, მას ჩამოართვეს მასწავლებლობის უფლება, ხუთი წლის განმავლობაში აუკრძალეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მას ფიზიკურად აშინებდნენ, უგზავნიდნენ პროვოკატორებს. მაგრამ ტერნერმა ვერ გატეხა სამართლიანი საქმისათვის მებრძოლის ბულისკვეთება. და მაშინ გადასმა ბოლოს ეს ი

საქართველოს ქთა-ხარში

წალენჯიხიდან საზღვარგარეთ

წალენჯიხა. (საკ. კორ.). წალენჯიხის ჩაის ფაბრიკების ნაწარმი ყოველწლიურად იგზავნება საზღვაგარეთის ქვეყნებში. მარშან 257 ტონა შავი ბიიხო ჩაი გაგზავნილი იქნებოდა ინგლისსა და ჰოლანდიაში, 250 ტონაზე მეტი — პოლონეთში, უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მარშან კარგად იმუშავეს რაიონის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების მუშაკებმა. ფაბრიკების მცირე სიმძლავრეების მიუხედავად, მათ მიიღეს და გადაამუშავეს რეკორდული მოსავალი — 26.148 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

მესამე კვარტალის მაჩვენებლებით ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანება დაჯილდოდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ხამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით.

საკავშირო დროშა — მეორედ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზოგადსაგანმანათლებლო სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის 1977 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში გაწევრიანებული ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ნარმანია). რისთვისაც სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა და განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განათლების განყოფილება გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვა.

ამ დღეებში ქ. თბილისის ექსპერიმენტული სკოლის დირექტორმა, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მანანა კობახიძემ გარდამავალი წითელი ღროშა საზეიმო ვითარებაში გადასცა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს მანვე 1977-1978 სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადებისათვის: საქართველოს განათლების სამინისტროს და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები გადასცა რაიონის სახალხო განათლებისა და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო დარგის მუშაკთა ჯგუფს.

ნორჩ მხატვრებია გამოჩენა

ტყიბული. (საკ. კორ.). პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიხსნა ნორჩ მხატვართა გამოფენა თემაზე — „ჩვენ ოქტომბერმა გვაჩუქა ეს ბედნიერი ბავშვობა“. წარმოდგენილია ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება. მათ ახასიათებს ფანტული და თემატიკური მრავალფეროვნება, კარგი მესრულება.

მეკითხველები გვნერენ

დიდი რევოლუციონერის სახლ-მუზეუმი

მახარაძე. ფილიპე მახარაძის სახლ-მუზეუმზე ყოველთვის ხალხმრავლობაა. საიუბილეო წელს რვი 5.000 კაცმა დათვალიერა. მუზეუმში ფართოდ არის წარმოდგენილი ფ. მახარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. მის თანხლა ყოველწლიურად ახალ-ახალი ექსპონატები იმატებს. ახლახან მუზეუმს ახალი ფოტოსურათი შემომატა: დიდი რევოლუციონერი ვადალიბერია კოლეგიის კოლეგიურიუმთა შორის.

მ. ელენტი.

მოწონება დაიმსახურეს

ამბროლაური. ამის წინათ რაიონში მოეწყო თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერება.

ქიორის მოწონება დაიმსახურეს ჭყვიშია, ციხის სასოფლო клუბების, ხიდიკრისა და წესის სასოფლო клუბების სახლთან არსებულმა მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

ა. კერესელიძე.

ერთსულოვნება

გეგეჭკორი. სოფელ საღხენის კოლმეურნეობის გამგეობამ ელექტროფიცირების ამბავებლობა გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილებას სოფლის მშრომელებმა მხარი დაუჭირეს.

ახლა სოფელს ელექტროფიცირება ემსახურება.

გ. ბასილაია.

ოპოზიციის საფეხურები

სხვადასხვა პროფესიის ორმოცი კაცი — მეტალურგები და ქიმიკოსები, ინჟინრები და მგლინავები გაერთიანდნენ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სტუდია „ოპიზარში“, რომელიც ქალაქ რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეში შეიქმნა.

მოყვარული მხატვრები ეუფლებიან ოქრომჭედლობის. ცხელი და ცივი ჭედვის, ხის ჩუქურთმის ხელოვნებას, რომლითაც განთქმული იყო ძველი ქართული გამოყენებითი ხელოვნება. მათ თავიანთ სტუდიას მიანიჭეს სახელმოხვეჭილი ოქრომჭედლის ბექა ოპიზარის (XII საუკუნის დამლევი XIII საუკუნის დამდეგი) სახელი, რომლის შედევრებიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში ინახება.

სტუდიის ხელმძღვანელია მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დიზაინერი იური ლოლაძე. ჭედური ნამუშევრები— „მეტალურგები“, „რუსთავი“, „ელექტრონიკა“ და სხვა ასახავენ მჭიდრო კავშირს ღღევანდელ ღღესთან.

რუსთაველი მხატვრები დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეების მიღწევათა გამოფენის შვიდი მედლით.

• • •

სურათზე: დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების სტუდიის „ოპიზარის“ წევრები. მარცხნიდან მარჯვნივ — „ხაქსათბურის“ გაერთიანების მუშა ნიკოლოზ ქობულაძე, სტუდიის ხელმძღვანელი დიზაინერი იური ლოლაძე, ქიმიური ქარხნის ოსტატი ლევ ვოროშილოვი და მეტალურგიული ქარხნის ელექტრიკოსი ავთანდილ ორჯონიკიძე.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო.

ოქროს ხელოვნებისა

ოლიმპიადა ... ოლიმპიადა ... ოლიმპიადა

ოლიმპიადა ... ოლიმპიადა ... ოლიმპიადა

ოლიმპიადა ... ოლიმპიადა ... ოლიმპიადა

ოგორც ეტყობა, ყველა უსაქმური, ზარმაცი და უქნარა ადამიანი, დიდ ქალაქში შეგხვედებათ იგი თუ პატარაში, ერთმანეთსა ჰგავს არა მარტო ზნითა და ხასიათით. არამედ მანერებით, სიტყვა-პასუხით, ჩაცმულობით და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნობითაც კი.

რასაკვირველია გამონაკლისს არც გორელი უსაქმურები წარმოადგენენ. ისინი შუადღემდე ლოგინში ნებივრობენ, ვიდრე ძილით და სიზმრებით თავი არ გაუსივდებათ, მერე მთელი დღე გვიან ღამემდე ქუჩაში დაეხეტებიან, დროდადრო ამოჩემებულ ადგილას, ეგრეთ წოდებულ „ბირჟაზე“ შეიკრიბებიან ხოლმე ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, რომ გაუთავებლად იდავონ და იკამათონ რაღაც უაზროსა და გაუგებარზე და გამვლელ-გამომვლელი შეაწუხონ თავიანთი საქციელით.

უსაქმურები კი მართლაც ყველანი ერთმანეთსა ჰგვანან, მაგრამ გორელ უსაქმურთა სავალალოდ და სამწუხაროდ მათი უბნის ინსპექტორი ზურაბ მაისურაძე არა ჰგავს ზოგ სხვა ინსპექტორს. ამ კაცმა პირდაპირ სიცოცხლე გაუმწარა უქნარებს. ქუჩაში და ბირჟაზე კი არა, შინაც ძილსა და მოსვენებას არ აძლევს.

არავინ, არც ერთი ახალგაზრდა არ გაიჩერა ზ. მაისურაძემ თავის უბანში უსაქმურად, მარტო ჭემალ პავლიაშვილს ვერ მოუხერხა ვერაფერი.

— ჭემალ, კარგს არაფერს გადაგიკეთებს შენ ეს უსაქმოდ ხეტიალი, ერთხელ კიდევ უკანასკნელად გაფრთხილებ...

ეს სიტყვები ისეთი ტონით იყო ნათქვამი, ჯ. პავლიაშვილი მიხვდა, უბნის ინსპექტორს აეკსო მოთმინების ფიალა და მეტს მარილაც აღარ აპატიებდა.

დაფაცურდა ჭემალი, მიდგამოდგა და ერთი კვირის შემდეგ სახელმწიფო ბეჭედდასმული ცნობა მიართვა, რომლის თანახმადაც ჭემალ ნიკოლოზის ძე პავლიაშვილი მე-9 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველოს მუშად ირიცხებოდა.

— ყოჩაღ! ასე არა ჯობს? — გაუხარდა უბნის ინსპექტორს და თავისთვის გაიფიქრა: ეს ერთიც ხომ მოვთოკეო.

მაგრამ არ გასულა ერთი კვირა, და ისევ „ბირჟაზე“ აყუდებული არ დაინახა პავლიაშვილი!

—აკი მუშაობა დავიწყეთ?

— ჰოდა ვმუშაობ, ხომ მოგიტანე ცნობა.

— მერე აქ რას აკეთებ? რამდენადაც ვიცი, მშენებლობაზე ღამის ცვლა არ არის.

— რა გინდა, ძმაო, რას შემომჩჩნდი. სამუშაოდან ცნობა მოგიტანე? მოგიტანე. თუ გინდა, კიდევ მოგიტან ახალს. ჩაკერე საქმეში და მოვრჩეთ. შენც მოისვენე და მეც მომასვენე.

„ნუთუ ყალბი ცნობა მომიტანა?“ — დაეჭვდა უბნის ინსპექტორი, წავიდა სამმართველოში და შეამოწმა. კი, მუშაობსო, უთხრეს კადრების განყოფილებაში და საბუთებიც უჩვენეს, ყველაფერი წესსა და რიგზე იყო გაფორმებული. ალბათ ზოგჯერ აცდენსო სამუშაოს, თავი დაიმშვიდა მაისურაძემ, მიუჩვეველი რომ არის უცაბ ვერ შეეჩვია რეჟიმს, არაფერია, კალაპოტში ჩადგებაო.

მაგრამ ინსპექტორს იმედი არ გაუმართლდა. ჭემალ პავლიაშვილს ახლა უფრო ხშირად ხედავდა ქალაქში უსაქმოდ მოხეტიალეს, თანაც დღე გულზე დაეხეტა!

— რას გადამეკიდე, თავს არ დამანებებ? — უხეშად და აგდებულად იგერიებდა იგი ინსპექტორის ყოველ შენიშვნას, — გეუბნები, ვმუშაობ და შენზე მეტი ჯამაგირიც მაქვს-მეთქი. გინდა, ფულიც გასესხო?

მაისურაძე ისევ მივიდა სამმართველოში და ერთხელ კიდევ გადასინჯა საბუთები. პავლიაშვილს გაცდენები სულაც არ ბანდი ხარ და ისინი შენზე მეტი ყალბისმქნელები და ბოროტმოქმედნი არიან, ვინც სამუშაოზე გაგაფორმა და ფულს შენი სახელით იღებს.

— ახლა იმითაც გინდა შარი მოსდო?

— ამას შენ არავინ გეკითხება. შენ ის დამიწერე, როგორც იყო. უწყისზე ხელს რომ მოაწერ ხოლმე და ხელფასს აიღებ, ვის აძლევ ფულსა?

— ვის უნდა ვაძლევდე!

— არა ბიჭო, ქუჩაში ალმა-დალმა ხეტიალში ჩაგიჩხრიალებენ ყოველთვიურად ორას-სამას მანეთს. ვიცი როგორც ხდება;

თავგადაკლული მებადური ღლაპუტას დეენაში ღლავს რომ წაეწყდება, სწორედ ისე მოხდა. ჭემალ პავლიაშვილის საქმის ქექვამ და ჩაძიებამ უბნის ინსპექტორი ზ. მაისურაძე უფრო დიდი დანაშაულის კვალს მიაყენა. გამოირკვა, რომ ეს ერთი კი არა, მე-9 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველო სავსე იყო მკვდარი სულებით, რაშიც მუშების პირად საქმეებისა და უწყისების ერთი თვალის გადავლებითაც დარწმუნდა მილიციის მუშაკი.

მაგრამ ვიდრე ამ მკვდარი სულების ამბავს ბოლომდე მოგიყვებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს მცირე განმარტება მიეცეთ თვით ამ ტერმინის გამო.

უდავოა, რომ იგი ნ. გოგოლისაგან მომდინარეობს, თუმცა მისი დღევანდელი გაგება და შინაარსი ზუსტად მაინც არ ემთხვევა გოგოლისეულს. საქმე ის არის, რომ ნ. გოგოლის ცნობილი გმირი ჩიჩიკოვი მართლაც მკვდარი სულებით, ნამდვილი მკვდრებით ვაჭრობდა, გარკვეული მოსაზრებით იგი ახალგარდაცვლილ ყმრს ყიდულობდა მთელ რუსეთში.

ზოგიერთ ჩვენს მშენებლობაზე და საწარმოში არსებული მკვდარი სულები კი სულაც არ არიან მკვდრები. ისინი ცოცხალი და საღსალამათი ადამიანები გახლავთ, ოღონდ კი არ მუშაობენ, მხოლოდ სიაში ირიცხებიან და მათ სახელზე გამოწერილ ხელფასს სხვები იღებენ.

კი მაგრამ თუ არ მუშაობენ, ხელფასი — საიდან? ან მათ გასაკეთებელს ვინ აკეთებს?

ახერხებენ. ბოროტმოქმედების გზით ყველაფერს ახერხებენ, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი ჩვენს ძირითად ამბავს დავუბრუნდეთ.

უბნის ინსპექტორი ზ. მაისურაძე უწყისების ერთი თვალის გადავლებისთან მიხვდა, რომ მე-9 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველოში უამრავი მკვდარი სული ჰყავდათ. აქ მუშათა სიაში ირიცხებოდნენ და ხელფასი გაცემული იყო ბევრი მისი ნაცნობისათვის, რომლებსაც არათუ არ შეეძლოთ აქ ემუშავათ, არამედ ალბათ ამ სამშენებლო ორგანიზაციის არსებობაც კი არ იცოდნენ.

მაგალითად. მებეტონეთა ბრიგადაში ირიცხებოდა და კარგი „გამომუშავებაც“ ჰქონდა გორის რაიონული საავადმყოფოს ექიმს ვ. ლოთიშვილს, ის კი ფიქრშიც არ იყო, ან კი ბეტონის სარეკად სად ეცალა მას — მთელ გორში ცნობილ სპეციალისტს, მუდამ საჭირო და სანლოით საძებარ კაცს.

ვ. მარქარიანი 10 წელზე მეტია გორიდან წასულია და საერთოდ ჩვენს რესპუბლიკაში არ ცხოვრობს, დედამისსაც კი ენატრება მისი ნახვა და აბა აქ მშენებლობაზე როგორ უნდა ემუშავა!

და ერთი და ორი როდი იყო ასეთი მე-4 სამშენებლო სამმართველოში, ათობით კაცი ჰყავდათ ფიქტიურად გაფორმებული. აქ ყველა პირობა იყო შექმნილი მკვდარი სულების არსებობისათვის. კადრების განყოფილების უფროსი ლ. მაისურაძე შეგნებულად არღვევდა ობიექტებზე მუშების მიღების არსებულ წესებს, თვითნებურად, საკუთარი ფანტაზიის კარნახით ავსებდა მათს პირად საქმეებს. აქ სამუშაოზე მიღების ელემენტარული პრინციპიც კი არ იყო დაცული: არსად ნაჩვენები არ არის მუშის საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, განცხადებათა უმრავლესობა ერთი ხელით არის დაწერილი.

მკვდარი სულები იყო ყველგან, მე-4 სამშენებლო სამმართველოს ყველა სამუშაო უბანზე, ყველა სამუშაო ობიექტზე. თავის ანგარიშზე მკვდარი სულები ჰყავდა თითქმის ყველა სამუშაოთა მწარმოებელს გ. ჯოჯიშვილს. გ. გაბლიაშვილს, მ. ქოქაშვილს, ა. ქარელს, გ. ცხოვრებაშვილს და კარგ გამომუშავებასაც ურიცხავდნენ მათ.

ახე ხდებოდა თვეობით, წლობით. ყველაზე მეტი თანხა კი მკვდარ სულებზე გაცემულია იმ პერიოდში, როცა სამმართველოს უფროსად შ. მამუკაშვილი, ხოლო მთავარ ინჟინრად ვ. კოვალენკო ველოში, ათობით კაცი ჰყავდათ ფიქტიურად გაფორმებული. აქ ყველა პირობა იყო შექმნილი მკვდარი სულების არსებობისათვის. კადრების განყოფილების უფროსი ლ. მაისურაძე შეგნებულად არღვევდა ობიექტებზე მუშების მიღების არსებულ წესებს, თვითნებურად, საკუთარი ფანტაზიის კარნახით ავსებდა მათს პირად საქმეებს. აქ სამუშაოზე მიღების ელემენტარული პრინციპიც კი არ იყო დაცული: არსად ნაჩვენები არ არის მუშის საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, განცხადებათა უმრავლესობა ერთი ხელით არის დაწერილი.

მკვდარი სულები იყო ყველგან, მე-4 სამშენებლო სამმართველოს ყველა სამუშაო უბანზე, ყველა სამუშაო ობიექტზე. თავის ანგარიშზე მკვდარი სულები ჰყავდა თითქმის ყველა სამუშაოთა მწარმოებელს გ. ჯოჯიშვილს. გ. გაბლიაშვილს, მ. ქოქაშვილს, ა. ქარელს, გ. ცხოვრებაშვილს და კარგ გამომუშავებასაც ურიცხავდნენ მათ.

ახე ხდებოდა თვეობით, წლობით. ყველაზე მეტი თანხა კი მკვდარ სულებზე გაცემულია იმ პერიოდში, როცა სამმართველოს უფროსად შ. მამუკაშვილი, ხოლო მთავარ ინჟინრად ვ. კოვალენკო მუშაობდნენ, და ეს დარღვევებიც, ეს განუკითხაობა და ქაოსი, უწინარეს ყოვლისა, მათი ბრალია. სწორედ მათი რეზოლუციებით ფორმდებოდა მკვდარი სულები სამუშაოზე.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს მე-9 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობის მხრივ (მამართველი ს გერგაული, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. გაბინაშვილი, მმართველის მოადგილე საერთო საკითხებსა და კადრების დარგში ვ. ფოცხვერაშვილი) სამმართველოსადმი უკონტროლობის, ზერელე ხელმძღვანელობის, აშკარა დანაშაულის ფაქტებზე წაყრუების შედეგიც არის.

„მკვდარი სულები“ — ნ. გოგოლის წყალობით, ცოტა არ იყოს, იუმორისტული იერი დაჰკრავს ამ ფრაზას. ჩვენს შემოხვევაში კი სახუმროდ და სასაცილოდ სულაც არ არის საქმე.

არა მგონია, ხუმრობის გუნებაზე დადგეს კაცი, როცა გაიგებს, თუ რა საშიში არიან ეს ყბადაღებული მკვდარი სულები, თუ რა დიდ ზიანს აყენებენ ისინი ჩვენს სახალხო მეურნეობას.

მკვდრები ხომ არ შეიძლება მუშაობდნენ! ისინი მხოლოდ ქაღალდზე, უწყისებში არსებობენ, ხელფასი კი ცოცხლების თანაბრად ეწერებათ.

მერედა, საიდან უნდა მიეცეთ მათ ეს ფული?

დარდი ნუ გაქვთ! მე-9 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველოს მესვეურებმა და მათთა მხგავსთა მშვენივრად იციან, რა გზებით და ხერხებით გამოუწერონ „მკვდრებს“ თანხა, რომ შემდეგ თვითონ მიითვისონ. ამისათვის არსებობს მიწერება და წამატებები, რაც გულისხმობს შეუსრულებელი სამუშაოს შესრულებულად გამოცხადებას, აუშენებელი სახლის აშენებულად აღიარებას, ტალახიანი გზის მოასფალტებულად ცნობას. ეს ნიშნავს სიცრუეს, სიყალბეს და ათას სხვა ეირსა და დოზანას!

მტრისას, საწარმოში ან მშენებლობაზე მკვდარი სულები თუ მომრავლდნენ, ცოცხლებსაც კი დაჩაგრავენ, აკი ასე არ მოხდა გორშიც: იმის გამო, რომ მკვდარ სულებზე ხელფასის ფონდი გადახარჯეს, მე-4 სამმართველოში მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა და მუშებს დიდი დაგვიანებით აძლევდნენ ხელფასს.

ყველაფერს ვინ გაიხსენებს და ვინ ჩამოთვლის, რაც მკვდარ სულებს ბოროტების და სიავის ჩადენა ძალუძთ. ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას: მკვდარი სულები ვერაგნიც არიან და, ბოლოს და ბოლოს, არც ამათ ზოგავენ, ვის გამდიდრებასაც ისინი ემსახურებიან, და ხშირად მათ ციხის კარსაც გაუყენებენ ხოლმე.

მ. მიქაძე.

ჯრეტენდენტთა ფინალური...

მოვდივარ თქვენს წინაალმდეგ...

დღეს ბად-კისინგენში (გფრ) იხსნება მსოფლიო ჩემპიონობის კრეტენდენტების, დიდოსტატების მაია ჩიბურდანიძისა და ალა კუშნირის ფინალური მატჩი. ამ შეჯიბრებით მთავრდება შუსარჩევ ასპარეზობათა ხანგრძლივი ციკლი, რომელიც ჯერ კიდევ 1975 წელს დაიწყო და რომლის საბოლოო მიზანია მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის მეტოქის გამოვლენა.

როგორი მაჩვენებლებით მოვიდნენ მეტოქეები ამ ფინალურ მატჩამდე?

მაია ჩიბურდანიძემ „ლაშქრობა“ დაიწყო ძალიან შორიდან, 1975 წლის საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალიდან. მან წარმატებით დაძლია ეს პირველი ზღუდე, შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირის საგზური მოიპოვა. ამის მერე ჩინეთელად ითამაშა ამ საზონთაშორისო ტურნირში, რომელიც თბილისში გაიმართა და მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა. პრეტენდენტთა ძეოთხედფინალური მატჩი მოუგო დიდოსტატ ალექსანდრიას, პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი — დიდოსტატ ე. ახმილოვსკაიას.

ამგვარად, მაია ჩიბურდანიძემ უკვე გადალახა არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი მძიმე დაბრკოლება. და თუ მან ზეაღსავლა 14 წლის ასაკიდან დაიწყო, ახლა თავისთვის ყველაზე ძნელ მატჩს 17 წლის ასაკში ითამაშებს. 17 წლისა იგი სწორედ გუშინ გახდა!

რაც შეეხება კუშნირს, მან, ფიდეს გადაწყვეტილებით ბრძოლა საზონთაშორისო ტურნირიდან დაიწყო, რომელიც როზენდალში (ჰოლანდია) გაიმართა. აქ ახმილოვსკაიასთან პირველი-მეორე ადგილების გაყოფის შემდეგ კუშნირმა პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობის უფლება მიიღო. ძეოთხედფინალში სლია დიდოსტატ ი. ლევიტინას, ხოლო ნახევარფინალში — დიდოსტატ ე. ფატალიბეკოვას.

ფინალური მატჩი 14 პარტიისაგან შედგება. გამარჯვებულად ცხადდება ის მოჭადრაკე, ვინც 7,5 ან 8 ქულას მოაგროვებს. თუ ისე მოხდა, რომ 14 პარტიის შემდეგ აღინიშნა ანგარიში 7:7 (ასეთი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული), მაშინ დაინიშნება მიკრომატჩი ორი პარტიისაგან. თუ მანაც არ გამოავლინა გამარჯვებული, მეტოქეები ახალ მიკრომატჩს ითამაშებენ და ა. შ. მეტოქეები კვირაში სამჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

რას მოელიან სპეციალისტები ამ ფინალური მატჩისაგან?

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიხეილ ტალმა ამ დღეებში მოსკოვის გაზეთ „ტრუდში“ გამოქვეყნებულ საუბარაკო მიმოხილვაში პირდაპირ თქვა, რომ მაია ჩიბურდანიძეს „ყველა შესაძლებლობა აქვს“ შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს. ტალმა მაღალი შეფასება მისცა ქართველი მოჭადრაკის თამამს უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატში, რომელშიც მან ჩინეთელად, ძალების დაუძაბავად, თავისუფლად დაიკავა პირველი ადგილი. ეს ხომ დიდი სტიმული იყო პრეტენდენტთა ფინალური მატჩის წინ.

ჩვენ გვახსენდება ცნობილი კიეველი ოსტატის იური სახაროვის სიტყვები, რომელიც მან ზაფხულში ბორჯომში მაიასთან სანერვრონელი მატჩის შემდეგ გვითხრა. კიეველი ოსტატი პირდაპირ განცვიფრებული იყო ნორჩი მოჭადრაკის ზრდის ტემპით, „იგი წლობითა და თვეობით კი არა, ყოველდღიურად იზრდებაო“.

ძალიან ძნელია იმაზე უფრო განსხვავებული მანერის მოჭადრაკეების წარმოდგენა როგორიც ჩიბურდანიძე და კუშნირი არიან. ჩიბურდანიძე ამჟამად გამოხატული შემტევი მოჭადრაკეა. იგი თავდადგე ცდილობს დაეუფლოს ინიციატივას და კარგი სადებიუტო მომზადების ხარჯზე ძალიან ხშირად ახერხებს კიდეც ამას. მაშინ, როდესაც ჩიბურდანიძე იერიშს იწყებს, იგი დიდ ენერგიას აკარგავს, მახვილგონივრულად აწარმოებს შეტევას, მეტოქეს სულის მოთქმის შესაძლებლობას არ აძლევს. როცა პოზიცია უკიდურესად რთულია, სწორედ მაშინ ვლინდება ყველაზე უკეთ მაიას დიდი ნიჭი, ჩიბურდანიძე თითქოს კიეველ მთავარ სვიატოსლავის მსგავსად პირდაპირ ეუბნება მეტოქეს: „მოვდივარ თქვენს წინააღმდეგ“, და მას თავს აბევებს უშეღავათო ბრძოლას.

ადრე მაიას მაინცდამაინც არ უყვარდა ბრძოლა ენდშპილში (ეს საერთოდ დამახასიათებელი გახლავთ ყველა ახალგაზრდა მოჭადრაკისათვის), მაგრამ მან ამას წინათ ლვოვში ნათლად დაგვანახა ახალი რამ თავის შემოქმედებაში — დაბოლოებების ზუსტად წარმართვის უნარი. ყოველ შემთხვევაში, მან ისეთი სკლები ითამაშა დაბოლოებაში დიდოსტატ ზ. ტალოვისკაიასთან, რომ ყველა სპეციალისტი მოხიბლა.

კუშნირი, რომელიც ჩიბურდანიძეზე 20 წლით უფროსია, როგორც მოგახსენეთ, სულ სხვა ყაიდის მოჭადრაკეა. თუ ჩიბურდანიძე სისტემატურად ხსნის თამაშს, კუშნირი ასევე სისტემატურად... ეეტავს მას. თუ ჩიბურდანიძე ცდილობს ფიგურები შეინარჩუნოს და დაცბულობა შექმნას, კუშნირი ცვლის ფიგურებს და ხსნის დაძაბულობას. ჩიბურდანიძის სტილია რთული მიტელშპილი, კუშნირისა — ნათელი ენდშპილი. ჩიბურდანიძის სტილია შეტევა, კუშნირისა — თამაში, ასე გითქვამ მიკროსკოპული უპირატესობით, ყიმის მიჯნაზე, სადაც მას განსაკუთრებული ხიფათი არ ემუქრება. კუშნირის მხარეზეა, ცხადია, დიდი გამოცდილება. მან ხომ ზედიზედ 3 მატჩი ითამაშა მსოფლიოს პირველობაზე. კუშნირს კარგად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი და მაღალი ტექნიკა აქვს.

ერთი რამ ცხადია, ამ სრული საჰადრაკო ანტიპოდების მატჩი მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს. დაველოდოთ პირველ შეხვედრას, რომელიც ზეგ — 20 იანვარს გაიმართება.

გ. გამრეკელი.

მაია ჩიბურდანიძე

ვინ ამოხსნა

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი **უ. შინკმანის** ნაწარმოები ასე ამოიხსნება: 1. ld4! 1... cd (მეხ7), მფd7 2. gf7, lg4. ვაქვეყნებთ იმათ ვარიანტს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: მ. კურტანიძე (ხარაგოული), მ. კინწურაშვილი (ცხაკაია), გ. ტურაშვილი (ლაგოდეხი), გ. ელიოსაძე (წაფანური), ა. დოლონაძე, ვ. შენგელია (ორიეი — ქუთაისი), ა. ბერძენიშვილი (ჩოხატაურის) რ. შუაფარცხია), კ. და მ. კობახიძეები (ტყიბული), ფ. ჩავლეიშვილი (ბახარაძე), ა. გრძელიძე (მაიაკოვსკის) რ. ნარკეთი), ნ. თენიეშვილი (წყალტუბო), გ. ეკიბი (ზეზეკი), მ. ქვლიძე (საგარეჯო), ვ. ჯანაშია (ბეგიჩაურის) რ. დიდი ჭყონი), ნათელა გვალია (ბელათი), ზ. კოკაია, ვ. იასეშვილი, შ. ფანჩიძე, მ. ყაფლანდარი (ყვილა — რუსთავი), ა. დანელია, ნ. ჩინჩალაძე, ა. ბიბილეიშვილი, ა. ხუციელავა, ნ. ტატოიშვილი (ყვილა — თბილისი).

ა. ბუტერდის ნაწარმოების ამოხსნა: 1. ed3+ 2. gc3+ 3. lc7+ 4. la5+ 7. lb2+ 8. ga3×. სწორი პასუხის ავტორები არიან: ა. ბაქრაძე (ქარელი) უ. ლომაძე (სურამი). ი. ასლამაზოვი (დუშეთი), მაია და მამუკა კიკნაძეები (ქიშეზეთი), ქეთინო ომაყმაშვილი (ბარეული), ო. ბწყინვაშვილი, მ. ქვლიძე (ორიეი — საგარეჯო), ჯ. მილიქიძე (ესპინძა) რ. ტოლოშვილი, თ. ოსიტაშვილი (ქობულეთი), პ. ბერეკაშვილი (ტყიბული, ორბირი) ვ. თენიეშვილი (ბახარაძის, რ. ქვლიდა ბაბვი), ა. სოფრომაძე (ზიათორა), ა. ბენელიძე (ქუთაისი), ჯ. სულუქვა (წულუკიძე), ფიტი ქაქუთია (ზუგდიდი), ვ. ლაზარეული, ბ. ხალვაშვი, ი. ბოლქვაძე (სამეგრელო — ბათუმი). რ. კუტუბიძე (მახარაძე), ვ. მახარაშვილი (ხაშური), მარინე ბეჭოშვილი, ს. ხუციშვილი (ორიეი — მცხეთის რ. ძალიანი), ა. ზუბაიშვილი (გორი), თინა ქიტესაშვილი (გურჯაანის რ. ჩუმლაყი), თ. მიქელაძე (ლაგოდეხის რ. ლელიანი), რ. და ვ. მერრაშვილები. ბ. მაჭავარიანი, ზ. კოკაია (ყვილა — რუსთავი), დ. ლორთქიფანიძე, ა. წვერიანაშვილი, იზოლდა ოდიაშვილი, მ. ზაკლაძე, გ. სტურუა, ლ. ედიბერიძე, გ. ქვატაია, ი. ძნელაძე, ვ. დობა. რკვანიძე, რ. ბეკურაშვილი, ვ. საგანელიძე (ყვილა — თბილისი).

ფეხბურთი

18 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — „ატელიეზი“ დოკუმენტური ფილმი „ცეფეფი კალეიდარი“ (ფერადი), 17.00 — „უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აფშერონის ზეთისხილი“, 18.00 — „მევსსწავლოთ გერმანული ენა, 18.30 — „ძარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის აქტუალური საკითხები“, 18.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის პარკი“ (ფერადი), 19.00 — „იმუნოლოგიის პრობლემები და ამოცანები“, 19.30 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ — ლატვია (ფერადი), 20.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წინამძღვართან“, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მუდმივი ძაბილი“ — „ომი“. IX სერია (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — კინოს სამყაროში.

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 19.40 — კონცერტი, 20.35 — მხატვრული ფილმი „შევეწყობით ერთმანეთს, ძვირფასო?“.

19 იანვარი

პირველი პროგრამით

08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესაბულიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ლ. გოცირიძის კონცერტი, 11.45 — „ისინი აჩქარებენ ტექნიკურ პროგრესს“. რადიონარკვევი, 12.15 — უკრავს ინსტრუმენტული ტრიო „ტერცია“, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — მ. ხატელიშვილი. სიმღერები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ჯ. სენ-სანსი. ვალსის ფორმის ეტიუდი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწონავე სტატია, 13.40 — ა. დარგომიჟსკი. სიმღერები და რომანსები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. მ. მრეველიშვილი — „საბედისწერო მოსახვევი“ (დასასრ